

## ნეაპოლში შეხვედრამდე

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 13 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) – „ნაპოლი“ (ნეაპოლი) 2:0 (1:0).

„დინამო“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩილენაძე), შენგელია.

„ნაპოლი“: კასტელინი, ბრუსკოლოტი, ფერარო, ვინაცანი, კატელანი, კაპორალე, კაზო (ვალენტე), ფილიპი, სავოლდი, პინი (მაიო), პელეგრინი.

მსაჯი: ი. ბუცევი (ავსტრია).

გოლები ყიფიანი (39–ე წუთი), შენგელია (50).

გაფრთხილები არიან: სავოლდი, ფერარო, ფილიპი, კანთელაძე.

თბილისის „დინამომ“ ბოლო შვიდი წლის მანძილზე ორ ევროპულ ტურნირში მოსინჯა ძალა – ერთხელ თასების მფლობელთა თასების, სამჯერ უეფას თასის გათამაშებაში.

და, აი მეხუთე ცდაც, რომელსაც, ბუნებრივია, იმედით შესცქერის ფეხბურთის ათიათასობით ქართველი გულშემატკივარი: რალა თქმა უნდა ყველას სურვილია, რომ საყვარელი გუნდი ბოლოსდაბოლოს ევროპის გრანდებს შორის იხილოს.

თითქოს თბილისელთა გამოცდა სურსო, ფორტუნამ „დინამოს“, ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის მაინც, შარშანდელი სიუჟეტი შესთავაზა – ყველაფერი ისევ იტალიური დაბრკოლებით დაიწყო. უეფა–ს, ისე როგორც სხვა ნებისმიერ თასის გათამაშებაში, არასერიოზული მეტოქეები არ არსებობენ. მით უფრო ძნელი იყო წინასწარ რაიმეს თქმა გუნდზე, ერთი რომ იტალიური „დამლა“ ადევს, და მეორეც – შეიძლება უცოცმანოდ ითქვას, ფაქტიურად არც უცნობ, თუმცა, ბოლოს, უკვე მინდორზე გუნდის პოტენციალს, საფეხბურთო კლასს ეძლევა გადამწყვეტი სიტყვა და გუშინდელი მეტოქეებიც მატჩის პირველი წუთებიდანვე საქმიანად შეუდგნენ ურთიერთობის გარკვევას. გუნდის სურვილი თუ მისწრაფება ყველაზე კარგად სათამაშო სქემაში იჩენს თავს. ათიოდ წუთში დაბეჭითებით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ „ნაპოლის“ სავსებით აძლევდა ხელს ფრე ან უარეს შემთხვევაში მინიმალური ანგარიშით წაგება. რა თქმა უნდა, იტალიელებს გოლის გატანის მცდელობაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ მასპინძელთა წინააღმდეგ აშკარა პერსონალურ თამაშს და იშვიათ კონტრშეტევებს მაინცდამაინც ბევრი თავსატეხი არ უნდა გაეჩინა თბილისელთა დაცვისათვის. „ნაპოლის“ საჯარიმოსთან მატჩის დასაწყისშივე წარმოქმნილი წყვილები თამაშის დამთავრებამდე განუშორებლად მოძრაობდნენ მინდვრის სიგანეზე: ბრუსკოლოტი შენგელიას დასდევდა ფეხდაფეხ, ფერარო – გუცაევს, კატელანი – ყიფიანს. თუმცა მანამდე, სანამ სტუმრები დარწმუნდებოდნენ, რომ ყიფიანი ამ დღეს სრულებითაც არ აპირებდა მინდვრის სიღრმიდან თამაშს, მას ნახევარმცველი ვინაცანი მეურვეობდა.

„დინამომ“ პირველივე წუთებიდან შეუტია. შემდეგ კი თანდათან დაიწყო იმ სისუსტეების გამოყენება, ყოველთვის, რომ თან ახლავს პერსონალურ თამაშს. თავიანთი საქმეებით დაკავებულ სტუმართა მცველებს ხშირად მხედველობიდან რჩებოდათ თბილისელ ნახევარმცველთა მანევრები – კასტელინის კართან თანდათან იმატა საგოლე მომენტებმა.

ბუნებრივია, „ნაპოლის“ მწვრთნელმა დი მარციომ მაშინვე შენიშნა მეტოქის ნახევარმცველთა გააქტიურება და სათანადო ზომებსაც მიმართა. ასე მოხვდა მანუჩარ მაჩაიძე ფილიპის მეურვეობის ქვეშ. ამიტომ თქვა აქტიურ თამაშზე უარი იტალიელთა „შვიდიანმა“ – გოჩა მაჩაიძე ერთობ ხშირად აწუხებდა „ნაპოლის“ დაცვის მარჯვენა ფლანგს.

რატომღაც სტუმართა მწვრთნელის „დანაპირები“ გამახსენდა – ზონას ვითამაშებთო. პრესისა და იქნებ მეტოქე ფეხბურთელებისთვის განკუთვნილი ეს „ტაქტიკური ემპაკობა“ მხოლოდ სიტყვადღა დარჩა – ნეაპოლელებს „ღია“ თამაშზე არც უფიქრიათ.

ტაიმის დამთავრებამდე ექვსიოდე წუთი რჩებოდა, კოსტავას მიერ საჯარიმოში ჩანოდებულ ბურთს თავით მისწვდა ყიფიანი და ზუსტი მისამართი მოუძებნა. 1:0. ამ შემთხვევაში უთუოდ შეიძლებოდა იტალიელთა გოლკიპერის შეცდომაზე საუბარი, მაგრამ ერთი რომ შეცდომას გამოსწორება უნდა და ესეც არ იყოს, თავისით, მეტოქის ჩაურევლად არავინ ცდება.

მეორე ტაიმი ისევე დაიწყო, როგორც პირველი. თბილისელთა კაპიტანმა შორიდან ძლიერად დაარტყა და კასტელინიმ თავგანწირული ნახტომითღა იხსნა თავისიანები. ორი წუთის შემდეგ კი ბურთი მაინც აღმოჩნდა „ნაპოლის“ კარის ბადეში. კარგად ითამაშეს თბილისელმა ფორვარდებმა, ყიფიანი – შენგელია. საპასუხო გადაცემის შიშით მცველები კარისკენ დაძრულ ყიფიანს მიჰყვნენ. ამით ისარგებლა შენგელიამ და არც თუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით ბურთი, რომ იტყვიან „ცხრიანში“ გააძვრინა.

ამის შემდეგ „დინამო“ კარგა ხანს უტევეს. სამი თუ ოთხი ძალზე კარგი შესაძლებლობა დაკარგეს მასპინძლებმა. განსაკუთრებით დასანანი კი ალბათ მაინც მანუჩარის მიერ ძელს მოხვედრილი ბურთი იყო. და საერთოდ, გუშინდელ მატჩში თბილისელთა კაპიტნის თამაშს უყოყმანოდ მოერგება ყველანაირი საფეხბურთო ეპითეტი.

მსაჯის სასტვენის ხმა. „დინამომ“ დამსახურებულად გაიმარჯვა. მაგრამ ორთაბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. 27 სექტემბერს ჩვენი ფეხბურთელები ორი ბურთისა და საერთო გამარჯვების იმედის საკმაო მარაგით გავლენ ნეაპოლის სან პაოლოს მინდორზე – თბილისელებს ხომ უკვე აღებული აქვთ იტალიური გამარჯვების ჭაშნიკი.

**ი. ბერიაშვილი**

**„ლელო“, 14.09.78**